გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

<u>გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა</u> №90

2010 წლის 30 ნოემბერი ქ. გურჯაანი

სოფელ ველისციხეში ერთ-ერთი ქუჩისთვის იოსებ ფხაჭიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის 2010 წლის 22.10 დასკვნა №1 შესაბამისად,

1. დაკმაყოფილდეს სოფელ ველისციხის მოსახლეობის ერთი ნაწილის მოთხოვნა და სოფელ ველისციხის ერთ-ერთ ქუჩას (№1-დან 49-ის ჩათვლით) ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპილი მებრძოლის – იოსებ ფხაჭიაშვილის სახელი.

2. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგეობას გაატაროს სათანადო ღონისძიებები განკარგულების შესრულებისათვის სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად.

3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გურჯაანის სამსახურს.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გ. ენუქიძეს.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზაქარია იაბანაშვილი**